

პავლო ვ. პუშკარი<sup>1</sup>

# საკუთრების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით. ინდივიდუალური საკუთრების უფლებებში ჩარევის პროპორციულობის დაბალანსების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

პავლო ვ. პუშკარი

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, დოქტორი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სარეგისტრაციო სამსახურის იურისტი.

## შესავალი

კერძო საკუთრების დაცვა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია ლიბერალური ეკონომიკის განვითარებისა და სტაბილური დემოკრატიული, პოლიტიკური და საკანონმდებლო სისტემების მშენებლობის თვალსაზრისით, რაც თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების

<sup>1</sup> სტატიაში მოცემულია მხოლოდ ავტორის შეხედულებანი, რომლებიც არ წარმოადგენს რომელიმე დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის ოფიციალურ მოსაზრებას. ავტორს მოპოვებული აქვს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი სისხლის სამართალში (შემოკლებული და გამარტივებული პროცედურები სისხლის სამართლის საქმის გადასაწყვეტად), მიღებული აქვს ბაკალავრისა და მაგისტრის წოდება სამართალში, წარმატებით აქვს დამთავრებული კიევის ტარას შევჩენკოს სახ. ეროვნული უნივერსიტეტი და საერთაშორისო სამართლის სპეციალობით ნოტინგჰემის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. ის არის ასოცირებული პროფესორი კიევის ტარას შევჩენკოს სახ. ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე და უფროსი იურისტი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს სამდივნოში.

და ამ საზოგადოების ინდივიდუალური წევრების ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ასეთ სისტემაში სახელმწიფო გამოდის საკუთრების უფლების ეფექტური გამოყენების გარანტიად და არ ერევა საკუთრების თავისუფალ ბრუნვაში კერძო პირებს შორის. სხვა სიტყვებით, თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქცია არის საკუთრების დაცვა<sup>2</sup>. ასეთი თანამედროვე სახელმწიფო არ უნდა აწესებდეს უსარგებლო შეზღუდვებს საკუთრების მშვიდობიანად გამოყენების უფლებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეზღუდვები განსაკუთრებით საჭიროა, პროპორციულია და ეფუძნება სამართლის ნორმის პრინციპებს, რაც წარმოადგენს საკუთრებით სარგებლობის უფლების ეფექტური გამოყენების საფუძველს.

კერძო საკუთრების ცნება საბჭოთა საკანონმდებლო სისტემაში პოლიტიკური მიზეზების გამო, ყურადღებას ამახვილებდა სახელმწიფოს საკუთრების დაცვასა და სოციალისტურ საკუთრებაზე. ლიბერალურ ეკონომიკურ საზოგადოებებში არსებული, მიწასა და უძრავ ქონებაზე ტრანზაქციების განხორციელების შესაძლებლობების საწინააღმდეგოდ კერძო საკუთრებაში არსებული მიწისა და უძრავი ქონების ფლობა არ იყო აღიარებული და დაშვებული. ის შეზღუდული იყო ქონებით სარგებლობის, ფლობისა და განკარგვის უფლებით. მაგრამ ეს უფლებები, განსაკუთრებით კი, ფლობისა და განკარგვის უფლება შეზღუდული იყო კანონითაც და პრაქტიკაშიც, რითაც ხდებოდა საკუთრების მშვიდობიანად გამოყენების უფლების არსის იგნორირება.

ამგვარად, მაგალითად: სსრკ სამოქალაქო კანონმდებლობის პრინციპების თანახმად, ინდივიდუალურ მესაკუთრეს ჰქონდა საკუთრების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლება. ამასთან, ისინი დამატებით აწესებდნენ საკუთრების დისკრიმინაციული დაყოფის წესებს რამდენიმე ტიპის საკუთრებად – სოციალისტური საკუთრება, რაც მოიცავდა სახელმწიფოს საკუთრებას (ე.წ. „ხალხის საკუთრება“) და კოლექტიური ფერმების, პროფესიული სავაჭრო კავშირების და სხვა კოლექტიური ორგანიზაციების საკუთრებას. ეს ორგანიზაციები მართავდნენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებას. სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც იქცა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში სამოქალაქო კოდექსების საკანონმდებლო პროექტების წყაროდ, აგრეთვე აწესებდა უფლებას ინდივიდუალური ან პერსონალური ქონების ფლობაზე, თუმცა ეს ითვალისწინებდა შეზღუდული მასშტაბის საკუთრებას. მაგალითად, ყოველ მოქალაქეს ჰქონდა პერსონალურ ქონებაზე საკუთრების უფლება, რომელიც ემყარებოდა მის „შრომასთან დაკავშირებულ შემოსავლებს“, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა „საზოგადოების ინტერესებს“. პიროვნებას ჰქონდა უფლება მის მფლობელობაში ყოფილიყო მხოლოდ ერთი, კანონით განსაზღვრული ზომის სახლი (ან მისი ნაწილი). სოფლის მცხოვრებლებს, რომლებიც იყვნენ კოლექტიური ფერმების წევრები, შეეძლოთ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის შინაური ცხოველები ჰყოლოდათ<sup>3</sup>. შესაძლოა განხორციელებულიყო პირადი საკუთრების „რეკვიზიცია“ ან

<sup>2</sup> ეს მოსაზრება არ გახლავთ ახალი, მაგ., სამართლის ერთ-ერთმა უდიდესმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა წარსულში უკვე გამოხატა მსგავსი აზრი თავის მეორე ტრაქტატში სამოქალაქო ხელისუფლებაზე – „ხელისუფლება არ გააჩნია სხვა დანიშნულება, თუ არა საკუთრების დაცვა“.

<sup>3</sup> სსრკ-ის სამოქალაქო კანონმდებლობის პრინციპები (მუხლები 19 – 32), მიღებულია სსრკ-ის „ვერხოვნი სოვეტის“ მიერ 1961 წ. 8 დეკემბერს, ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებიც ძალაში შევიდა 1981 წელს.

„კონფისკაცია“, შესაბამისად, კომპენსაციის გადახდით ან მის გარეშე. პირადი საკუთრების დაცვის რეჟიმი აგრეთვე საკმაოდ სუსტი იყო სახელმწიფოს საკუთრებასთან შედარებით, რომელიც უკეთესად იყო დაცული სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობით და კანონისმიერი იძულების შესაბამისი მექანიზმით<sup>4</sup>. ამ გარემოებას ხაზი გაესვა 1977 წლის ბრუნევის დროის სსრკ-ის კონსტიტუციის დებულებებით, მაშინ, როდესაც კონსტიტუციის 61-ე მუხლი მოქალაქეებს უწესებდა ვალდებულებას, დაეცვათ სოციალისტური საკუთრება როგორც უმაღლესი ღირებულების მქონე საკუთრება. ასეთი სამართლებრივი მიდგომა სრულად ასახავდა მარქსისტულ მიდგომას სოციალისტურ საკუთრებასთან დაკავშირებით, რაც მიიჩნეოდა წარმოების საშუალებად სოციალისტურ საზოგადოებაში. ეს, თავის მხრივ, ასახავდა მიდგომას საკუთრების სამართლისადმი, რომელიც აღიქმებოდა როგორც საკანონმდებლო ნორმების ჯგუფი, რომელიც არეგულირებდა ეკონომიკური წარმოების საშუალებებისა და შრომის შედეგების განაწილების პირობებს სახელმწიფოს (რომელიც წარმოადგენდა მუშათა კლასის ინტერესებს) მიერ. სახელმწიფო კი თავის მხრივ ფლობდა, სარგებლობდა და განკარგავდა ზემოთ ხსენებულ ობიექტებს. მოცემული პოლიტიკურ-ეკონომიკური მიდგომა ხაზს უსვამდა კოლექტიური და სახელმწიფო საკუთრების უპირატესობას ინდივიდის კერძო საკუთრებაზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ ყოველი კერძო პირის საკუთრების უფლებები ზოგადად დაკნინებული გახლდათ,<sup>5</sup> მიწის, ბუნებრივი და სხვა რესურსების სახალხო საკუთრებად გამოცხადების მიუხედავად, რაც ცხადდებოდა სახელმწიფოს კუთვნილებად, იგივე, სახალხო საკუთრებად.

სსრკ-ის კონსტიტუციის და სამოქალაქო კანონმდებლობის პრინციპების დებულებები სინამდვილეში არ ასახავდნენ საკუთრების უფლებების დამცავ საერთაშორისო სამართლის დებულებებს, რაც გაცილებით უფრო ადრე იყო მიღებული, რადგან ეს პრინციპები ხაზს უსვამდნენ სოციალისტური საკუთრების დომინანტურობას კერძო საკუთრებაზე. კერძოდ, ზემოთ ხსენებულ საკანონმდებლო აქტებთან შედარების თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მე-17 მუხლი, რომელიც მიღებულ და აღიარებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს სამი საბჭოთა წარმომადგენლის წევრის მონაწილეობით ადგენს, რომ „ყველას აქვს უფლება, ფლობდეს საკუთრებას, ინდივიდუალურად და აგრეთვე, სხვებთან ერთად“ და რომ „დაუშვებელია საკმარისი საფუძვლის გარეშე ადამიანს წაერთვას მისი საკუთრება“<sup>6</sup>. საბჭოთა იურისპრუდენციაში მიღებული და კონსტიტუციის პრინციპებში ასახული მიღ-

<sup>4</sup> ეს მიდგომა შეიცვალა და ამჟამად საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის დებულებათა თანახმად, სახელმწიფოს საკუთრების უფლებები დაცულია ისევე, როგორც კერძო პირების უფლებები.

<sup>5</sup> ჯონ ფ. კენედის მიხედვით: „ყოველი ადამიანის უფლებები კნინდება მაშინ, როდესაც ერთი ადამიანის უფლებებს ემუქრება საფრთხე“ ერისადმი მიმართვა, 11 ივნისი, 1963 წ.

<sup>6</sup> საკუთრების უფლება არ იყო აღიარებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების საერთაშორისო პაქტის მიხედვით. იგივე უფლება წარმოდგენილი იყო სულ სხვა კუთხით ადამიანებისა და ხალხების უფლებების შესახებ აფრიკის ქარტიის მე-14 მუხლის თანახმად, როგორც გარანტირებული უფლება, რომელიც გარკვეული შეზღუდვების მატარებელი გახლდათ და მოიცავდა ქარტიიდან გამომდინარე ადამიანებისა და ხალხების მოვალეობებს. საკუთრებაზე მსგავსი უფლება ანალოგიური შეზღუდვებით დადგენილ იქნა ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენციის 21-ე მუხლის მიხედვით (1969 წლის 22 ნოემბერს მიღებული ხელშეკრულება). აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენციამ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე (ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოები), 26-ე მუხლში, გაიმეორა № 1 ოქმის 1-ლი მუხლის პირველი წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათწყობა საკმაოდ განსხვავდება ოქმის აღნიშნული წინადადებისგან.

გომა აგრეთვე საკმაოდ განსხვავდებოდა 1952 წელს მიღებული ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის №1 ოქმის პირველი მუხლის ტექსტში განსაზღვრული ფორმულების, ცნებებისა და სულისკვეთებისაგან, რომლის მიხედვითაც, „ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი ქონების დაუბრკოლებლად გამოყენების უფლება. პირს ქონება შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ საჯარო ინტერესის შესაბამისად კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“. ასევე, ზემოთ მითითებული ტექსტის თანახმად, საკუთრების უფლების დაწესება „ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის, ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“<sup>7</sup>.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის შესაბამისი დეკლარაციების მიღების შემდეგ, ამ სახელმწიფოების კონსტიტუციებში განხორციელებულ ცვლილებებში აისახა საკუთრების დაცვის მიდგომები, რომელთა მიხედვითაც საკუთრების მშვიდობიანი გამოყენების უფლება წარმოადგენს ძირითად უფლებას. აღნიშნული უფლება საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც ის უფლებელყოფილი იყო, დაცულია კანონით და მისი იძულების მექანიზმით. მოცემული კონსტიტუციური სიახლეები ასევე კრძალავდნენ ნებისმიერ თვითნებურ ჩარევას საკუთრებით სარგებლობის უფლებაში ან ნებისმიერ სხვა ჩარევას, რაც არ ემყარებოდა კანონს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად<sup>8</sup>, 2006 წელს ძალაში შესული კონსტიტუციური ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, №1 ოქმის პირველ მუხლში განსაზღვრული პრინციპების განვითარება მოხდა და დადგინდა:

- „1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება;
2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.
3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით“. ამგვარად, საქართ-

<sup>7</sup> იხ. ოქმი №1, მუხლი 1, მიღებული 1952 წლის 20 მარტს პარიზში.

<sup>8</sup> მსგავსადვე, უკრაინის კონსტიტუციის მუხლი 41, 28 ივნისი, 1996 წ., აცხადებს: „(1) ყველას აქვს უფლება, ფლობდეს, იყენებდეს და განკარგავდეს თავის საკუთრებას, აგრეთვე, საკუთარი ინტელექტუალური და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებს. (2) კერძო საკუთრების უფლება გათვალისწინებულია კანონით განსაზღვრული პროცედურით. ... (4) დაუშვებელია პიროვნებას უკანონოდ წაერთვას მისი საკუთრების უფლება. კერძო საკუთრების უფლება შეუღალავია. (5) კერძო საკუთრების უფლების ობიექტის ექსპროპრიაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ გამოწვევის სახით საზოგადოებრივი აუცილებლობის მიზეზებით, კანონით განსაზღვრული პროცედურის საფუძველზე, და მხოლოდ მათი ღირებულების წინასწარი და სრული კომპენსაციის პირობით. ასეთი ობიექტების ექსპროპრიაცია მათი ღირებულების თანმდევი სრული კომპენსაციით დაშვებულია მხოლოდ საომარი მდგომარეობის/სამართლის ან სახელმწიფო საჭიროების პირობებში. (6) საკუთრების კონფისკაცია შესაძლოა განხორციელებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ოდნობით და პროცედურის თანახმად“.

ველოს ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიდგომებს საკუთრების დაცვასთან მიმართებით და ადგენს საკუთრების უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, იმასთან შედარებით, რაც იყო თავდაპირველად მოცემული კონვენციის №1 ოქმის პირველ მუხლში<sup>9</sup>. კერძოდ, კონსტიტუციის 21-ე მუხლი ადგენს, რომ საკუთრების უფლებებში ჩარევა – საკუთრების შექმნის, გასხვისებისა და მემკვიდრეობით გადაცემის/მიღების შეზღუდვა შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“ და „კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში“. აკრძალულია ნებისმიერი სახით საკუთრების ჩამორთმევა სასამართლო გადაწყვეტილების და სათანადო კომპენსაციის გარეშე, თუმცა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრაქტიკაში ეს საკითხი ყოველთვის ასე არ წყდება<sup>10</sup>. შიდა კანონმდებლობა მკაცრად კრძალავს საკუთრების ჩამორთმევას, მატერიალურდა პროცედურულ სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და სათანადო კომპენსაციის გადახდის გარეშე<sup>11,12</sup>. მსგავსი მიდგომა იქნა გამოყენებული საკუთრების დაცვის გარკვეული, მგრძობიარე სფეროებისთვის საქართველოში, როგორცაა მაგალითად საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მსხვერპლთათვის საკუთრებისა და საცხოვრებლის აღდგენის საკითხებთან მიმართებაში, როგორც ეს იქნა გაანალიზებული ვენეციის კომისიის ექსპერტების მიერ<sup>13</sup>. კომისიის ერთ-ერთი ექსპერტი გახლდათ ადამიანის უფლებათა ევროპის კომისიის წევრი, მან აღნიშნა, რომ:

„საკუთრებასთან მიმართებაში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სათანადო სამართლიანი ბალანსი უნდა იყოს დაცული. სამართლიანი ბალანსის დაცვა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გამოყენებული პროცედურები ითვალისწინებდნენ ყველა შესაბამის ფაქტორს... მიუხედავად იმისა, რომ №1 ოქმის პირ-

<sup>9</sup> მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს, 2006 წლის 27 დეკემბერს ძალაში შესული ცვლილებებითა და დამატებებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, რომელიც წარმოადგენდა საკანონმდებლო დოკუმენტს, ადგენდა მოქალაქეებისთვის ძირითად უფლებებს, აწესებდა თანასწორობას სავაჭრო და ეკონომიკური თავისუფლებას პროვინციებს შორის.

<sup>10</sup> მოხსენება საკუთრების უფლების შესახებ პოსტრევოლუციურ საქართველოში აღნიშნავს: „საქართველოს კანონმდებლობა მკაცრად იცავს საკუთრების უფლებებს, იხსენიებს რა მხოლოდ სპეციფიკურ პირობებს, როდესაც დასაშვებია კონფისკაცია. ორი ქართული კანონი არეგულირებს ამ სფეროს: საქართველოს ორგანული კანონი საკუთრების ექსპროპრიაციის წესების შესახებ საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, გადაუდებელ გარემოებებში (1997) და საქართველოს კანონი საკუთრების ექსპროპრიაციის წესების შესახებ *Sine Qua Non* საზოგადოებრივი აუცილებლობისთვის (1999)“. <http://transparency.ge/sites/default/files/Property%20Rights%20in%20Post-Revolution%20Georgia.pdf>.

<sup>11</sup> ამავე დროს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა 2007 წელს დაადგინა, რომ საქართველოს კანონმდებლობა სრულად არ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და არ არის სრულად ეფექტური კორპორატიული მართვის, გადახდის უზუნარობის და უზრუნველყოფილი ტარნაჟებიების საკითხებთან მიმართებაში (საქართველო, ერები გარდამავალ პერიოდში, *Elizabeth Fuller*). <http://www.freedomhouse.org/uploads/nit/2009/Georgia-final.pdf>.

<sup>12</sup> საქართველოსთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი ეხებოდა საკუთრების ექსპროპრიაციას უცხოელი ინვესტორებისგან მათთვის სათანადო კომპენსაციის გადახდის გარეშე. ეს შემთხვევები გამოკვლეულ იქნა საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრის მიერ (საქართველოს რესპუბლიკა v. *Ioannis Kardassopoulos AS*, ICSID 12 ნოემბერი, 2010 წ.; *Ioannis Kardassopoulos & სხვები v. საქართველოს რესპუბლიკა*, ICSID 3 მარტი, 2010 წ.; *Itera International Energy LLC & Itera Group NV v. საქართველო*, ICSID 4 დეკემბერი, 2009 წ.).

<sup>13</sup> მიუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევებში, როგორცაა ქალაქის დაგეგმარება, საკუთრების ჩამორთმევა ექსპროპრიაციის გზით სათანადო კომპენსაციის გარეშე, განხილულ იქნა როგორც პრობლემატური საკითხი. ადამიანის უფლებები საქართველოში: საქართველოში სახალხო დამცველის მოხსენება: 2006 წ. მეორე ნახევარი, თბილისი 2007, გვ. 97 – 117.

ველი მუხლი პირდაპირ არ მოითხოვს კომპენსაციის გადახდას საკუთრების შეზღუდვის (ან ჩამორთმევის) თუ სხვაგვარი ჩარევის შემთხვევაში, კომპენსაციის მოთხოვნა, როგორც წესი, ნაგულისხმევაა. ...საკუთრების ჩამორთმევა მის ღირებულებასთან გონივრულად დაკავშირებული თანხის გადახდის გარეშე ჩვეულებრივ არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს, რომელიც დაუშვებელია მიჩნეულ იქნეს გამართლებულად პირველი მუხლის თანახმად. ამასთან, პირველი მუხლი არ იძლევა ყველა შემთხვევაში სრული კომპენსაციის მიღების გარანტიას, რადგან საჯარო ინტერესის“ საკანონმდებლო მიზნები, როგორცაა ეკონომიკური რეფორმის გასატარებლად საჭირო ზომები, რომლებიც მიზნად ისახავენ უფრო დიდი სოციალური სამართლის დამკვიდრებას, შესაძლოა გულისხმობდნენ სრულ საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის კომპენსაციას. ... ბოლოს, საკუთრების უფლებაში ჩარევა, აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი გარკვეულობის მოთხოვნებსა და კანონიერებას, ... საკუთრების კონფისკაცია უნდა განხორციელდეს კანონის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ... სახელმწიფო (ან საჯარო უფლებამოსილი ორგანო) უნდა მოქმედებდეს ადეკვატურად ხელმისაწვდომი და საკმარისად ზუსტი კანონისმიერი დებულებების შესაბამისად, რომლებიც აკმაყოფილებენ „სამართლის“ კონცეფციის ყველა არსებით მოთხოვნას. ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული ჩარევა უნდა ემყარებოდეს ეროვნული სამართლის კანონის გარკვეულ დებულებებს, არამედ იმასაც, რომ უნდა არსებობდეს სამართლიანი და სათანადო პროცედურა, ხოლო შესაბამისი ღონისძიება უნდა იყოს დადგენილი და განხორციელებული სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ და უნდა იყოს მიუკერძოებელი“<sup>14</sup>.

ზემოთ ხსენებული მიდგომა არის ცხადი და ლოგიკური, ის წარმოადგენს ზოგადი მიდგომის გაგრძელებას, რომელიც აღიარებულია საჯარო და კერძო საერთაშორისო სამართლის მიერ ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა საკუთრების ჩამორთმევა. ამ მიდგომის პრაქტიკაში დანერგვა სახელმწიფოს და სასამართლო უფლებამოსილი ორგანოების მიერ საკმაოდ მარტივია იმ საქმეების მიმართ, რომლებიც უკავშირდება საკუთრების უფლებებში ჩარევას. ამასთან, მარტივად რომ ვთქვათ, ის არ ითვალისწინებს საკუთრების უფლებებში ჩარევის კონკრეტულ გარემოებებს. მოდით შევაფასოთ, თუ როგორ გამოიყენება ის პრაქტიკაში ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება საქართველოს, როგორ გამოიყენება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და რომელი კრიტერიუმები გამოიყენება იმის გადასაწყვეტად, ადგილი ჰქონდა თუ არა საკუთრების უფლებებში უკანონოდ ჩარევას.

<sup>14</sup> ვენეციის კომისიის მოსაზრება ქართულ-ოსური კონფლიქტის მსხვერპლთა განსახლებისა და საკუთრების დაბრუნების შესახებ კანონპროექტის თაობაზე, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ მე-60 პლენარულ სხდომაზე (ვენეციის, 8-9 ოქტომბერი, 2004 წ.) ბ-ნი Pieter Van Dijk და ბ-ნი Peter Paczolay კომენტარების საფუძველზე (§§ 26 -27). [http://www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD\(2004\)037-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD(2004)037-e.asp).

## საკუთრების დაცვის მიღგომეზი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პრეცედენტული სამართლის მიხედვით

უფლება საკუთრებაზე (საკუთრების დაუბრკოლებლად გამოყენების უფლება) დადგინდა №1 ოქმის პირველი მუხლის თანახმად და მოიცავს ეკონომიკური ინტერესების ფართო სპექტრს, რაც თავის მხრივ გულისხმობს არა მხოლოდ საკუთრების კლასიკურ ობიექტებს, არამედ, აგრეთვე მოძრავ და უძრავ ქონებას, მატერიალურ და არამატერიალურ ინტერესებს, აქციების, პატენტების, საავტორო უფლების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, ნებართვებსა და ლიცენზიებს ბიზნესის წარმოებისთვის, საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტილებებს, მეპატრონის უფლებამოსილებას, იჯარით გასცეს საკუთრება, ეკონომიკურ ინტერესებს ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებით (კლიენტურა, არამატერიალური აქტივები და ბიზნესის რეპუტაცია), პროფესიული პრაქტიკის უფლებას, გარკვეული ობიექტის საკუთრებაში მიღების კანონიერ მოლოდინს, რაც საკმარისად ნათელია, საკუთრებასთან დაკავშირებულ და სოციალურ პრივილეგიებს, რომლებიც ასევე საკმარისადაა დამტკიცებული კანონის მიერ და ა.შ.<sup>15</sup> მოკლედ რომ ვთქვათ, კონვენცია და სასამართლოს პრეცედენტული სამართალი იცავს ეკონომიკური უფლებების მთელ „ნაკრებს“<sup>16</sup> და არა უფლებათა კლასიკურ „ტრიადას“, რომლებიც ტრადიციულად დაცული იყო საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიერ (გამოყენების, ფლობისა და განკარგვის უფლებები). გარდა ამისა, სასამართლომ №1 ოქმის პირველ მუხლთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისთვის შექმნა საჩივრების შეფასების სისტემა სამ განსაზღვრულ წესთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რომლებიც მიჩნეულია, რომ მოიცავენ შემდეგ პრინციპებს: ყველას აქვს უფლება, მშვიდად გამოიყენოს თავისი საკუთრება, საკუთრების ჩამორთმევა უნდა დაექვემდებაროს გარკვეულ პირობებს (საკუთრებაში ჩარევა უნდა განხორციელდეს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე და/ან საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით) აგრეთვე სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, მიიღონ ისეთი კანონები, როგორცაა მიჩნევენ საჭიროდ გარკვეული მიზნებისათვის (საერთო ინტერესის მისაღწევად და გადასახადების, მოსაკრებლებისა და ჯარიმების გადახდის გარანტირებისათვის)<sup>17</sup>. სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპები, რაც მოცემულია კონვენციაში თავისთავად მოითხოვენ, რომ კანონები, რომ-

<sup>15</sup> Monica Carss-Frisk. საკუთრების უფლება: ოქმი №1, მუხლი 1 შესრულების სახელმძღვანელო ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მიმართ. ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო, No. 34, 2001; Aida Grgić, Zvonimir Mataga, Matija Longar და Ana Vilfan. საკუთრების უფლება ევროპის ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად. ევროპის ადამიანის უფლებების დაცვის კონვენციის განხორციელების სახელმძღვანელო და მისი ოქმები. ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელოები, №10. [http://book.coe.int/sysmodules/RBS\\_fichier/admin/download.php?fileid=2994](http://book.coe.int/sysmodules/RBS_fichier/admin/download.php?fileid=2994).

<sup>16</sup> საკუთრების ეკონომიკური უფლებების და ინტერესების ნაკრებად განხილვის ერთ-ერთი მაგალითია მიდგომა, რომელიც მიღებულ იქნა ორმხრივი საინვესტიციო პაქტით უკრაინასა და საქართველოს შორის 1995 წლის 9 იანვარს. აღნიშნული ცნობს დაცული საკუთრების უფლების ორ ტიპს – ინვესტიციებს (მოძრავი და უძრავი ქონება, აქციები და წილების ფლობა, კრედიტები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, არამატერიალური აქტივები და კომერციული საიდუმლოებანი, ლიცენზიები და ნებართვები, კონცესიები ბუნებრივი რესურსებისათვის) და შემოსავლებს (ფინანსური შემოსავალი, მოგება, პროცენტული სარგებელი, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა, საავტორო პონორარი და სხვადასხვა გადახდები), რომელთაც გააჩნია ცვალებადი დეფინიცია.

<sup>17</sup> *Sporrong და Lönnroth v. შვედეთი*, 23 სექტემბერი, 1982 წ., § 82, სერია A № 52.

ლებიც გამოყენებული იქნა როგორც ჩარევის საფუძველი, საკმარისად ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი იყოს<sup>18</sup>.

აგრეთვე ნახსენებია, რომ საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზნებს და უნდა იყოს შესაბამისი მიზნების პროპორციული, რაც ნიშნავს იმას, რომ უნდა არსებობდეს გონივრული თანაზომიერება აკრძალვის აღსრულებისთვის გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის (ე.წ. „სამართლიანი ბალანსის ტესტი“)<sup>19</sup>. ნებისმიერ შემთხვევაში საკუთრების უფლებებში რაიმე სახის ჩარევა, საკუთრების გამოყენების კონტროლი, მისი ექსპროპრიაცია ან კონფისკაცია არ უნდა იყოს თვითნებური, უნდა იყოს საკმარისად დასაბუთებული, გააჩნდეს საკმარისი კანონიერი და ფაქტობრივი საფუძველი. ამ მიზნით, ევროპის სასამართლოს პრაქტიკა არასოდეს საუბრობს აშკარად ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა „აუცილებელი სოციალური საჭიროების“ არსებობა საკუთრებაში ჩარევასთან მიმართებაში. უფრო მეტად, ის გამოიყენება როგორც ტესტი ჩარევის ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის შესაფასებლად კონვენციის 8-11 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებთან მიმართებაში. აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის დებულებისაგან განსხვავებით, პრეცედენტული სამართალი მიუთითებს არა მხოლოდ საკუთრებაში ჩარევაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით დადგენილი პროცედურის საფუძველზე, არამედ, აგრეთვე ახსენებს საჭიროებას, მატერიალური სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობისა, რაც შესაბამისი ჩარევის საფუძველს წარმოადგენს<sup>20</sup>. სასამართლო პრაქტიკა ხაზს უსვამს აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ მოცემული დებულებები პირდაპირ არ მოითხოვენ კომპენსაციის გადახდას საკუთრებაში ჩარევის ყოველ შემთხვევაში, მაგრამ იმისათვის, რომ განხილულ იქნენ როგორც პროპორციული და სამართლიანი დასახულ მიზანთან მიმართებაში საკუთრებაში ჩარევის თან უნდა სდევდეს ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ საკუთრების ისეთი ჩამორთმევის შემთხვევაში, როგორიცაა ნაციონალიზაცია, ექსპროპრიაცია ან ქონების კონტროლი<sup>21</sup>. ამას გარდა, სასამართლოს პრაქტიკა სახელმწიფოებს აგრეთვე უწესებს თავისუფალი შეფასების ზღვარს საკუთრებაში ჩარევის საკითხებთან მიმართებაში, რაც დაკავშირებულია საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებთან, უფრო კონკრეტულად, დაბეგვრასთან, გადასახადების, მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველყოფასთან<sup>22</sup>.

ზემოთ ხსენებული მიდგომები აგრეთვე აისახება ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში საქართველოსთან დაკავშირებით. მაგალითად, სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით, საქმეზე „შპს ამათ-გ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“<sup>23</sup> განმცხადებელთა სასარგებლოდ მიღებული

<sup>18</sup> *Brumărescu v. Rumînia* [GC], № 28342/95, § 61, ECHR 1999-VII.

<sup>19</sup> *AGOSI v. გაერთიანებული სამეფო*, 24 ოქტომბერი, 1986 წ., § 54, სერია AN# 108.

<sup>20</sup> Harris, O'Boyle და Warbrick. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის კანონი. *ოქსფორდის უნივერსიტეტის პრესა*, მეორე გამოცემა. 2009. გვ. 669 – 672; Karen Reid. *პრაქტიკოსის სახელმძღვანელო ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესახებ*. Thomson/Sweet და Maxwell. ლონდონი, 2008. გვ. 310 – 317.

<sup>21</sup> *James და სხვები v. გაერთიანებული სამეფო*, 21 თებერვალი, 1986 წ., § 54, სერია A № 98.

<sup>22</sup> *Gasus Dossier und Fördertechnik GmbH v. ნიდერლანდები*, 23 თებერვალი, 1995 წ., § 74, სერია A № 306-B.

<sup>23</sup> *შპს ამათ-გ და მებალიშვილი v. საქართველო*, № 2507/03, ECHR 2005-VIII.



საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების ხანგრძლივი აღუსრულებლობა წარმოადგენდა ჩარევას მათ უფლებაში, მშვიდობიანად გამოიყენონ საკუთრება და არღვევდა პროპორციულობის სამართლიან ბალანსს, განმცხადებლების კანონიერ მოლოდინებს შორის მიეღწიათ გადაწყვეტილებათა აღსრულებისთვის და იმ მიზეზებს შორის, რომელთა გამოც სახელმწიფომ მოცემულ შემთხვევაში ვერ შესძლო აღსრულებინა სასამართლოს გადაწყვეტილება.. სახელმწიფომ გადაუხადა განმცხადებლებს კომპენსაცია ფულადი და არაფულადი ზარალისათვის, რაც გამოწვეულ იქნა მათი უფლების დარღვევით, მშვიდობიანად ესარგებლათ თავიანთი საკუთრებით. სასამართლომ წარმოადგინა საკუთარი გადაწყვეტილების საკმაოდ საინტერესო საფუძველი:

„გადაწყვეტილება ანიჭებდა მოსარჩელე კომპანიას დადგენილ და აღსრულებად მოთხოვნის უფლებას რაც წარმოადგენს „ქონებას“ №1 ოქმის 1 მუხლის მიზნებისთვის. პირველი ოქმის პირველი მუხლის პირველადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ის, რომ ნებისმიერი ჩარევა საჯარო უფლებამოსილი ორგანოს მიერ საკუთრების მშვიდობიან გამოყენებაში უნდა იყოს კანონიერი, პირველი პარაგრაფის მეორე წინადადება ადასტურებს საკუთრების ჩამორთმევას „კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“, რასაც მოსდევს საკითხი სამართლიანი ბალანსის დაცვის თაობაზე საზოგადოების საერთო ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდის ძირითადი უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის, რაც უნდა დასტურდებოდეს იმ ფაქტით, რომ განსახილველი ჩარევა უნდა აკმაყოფილებდეს კანონიერების მოთხოვნას და არ უნდა იყოს თვითნებური...“

საკუთრების უფლებების პატივისცემის იგივე პრინციპები ხაზგასმულია საქართველოს წინააღმდეგ განხილულ სხვა საქმეზე 2005 წლის 27 სექტემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში (შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ)<sup>24</sup>, სადაც სასამართლომ დაადგინა შემდეგი: ის ფაქტი, რომ მოსარჩელე კომპანიებმა ვერ შეძლეს საბოლოო გადაწყვეტილების თავიანთ სასარგებლოდ აღსრულება სახელმწიფოს და იმ იურიდიულ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებდნენ სახელმწიფოს სახელით და ეს წარმოადგენდა მათ უფლებაში ჩარევას, მშვიდობიანად ესარგებლათ თავიანთი საკუთრებით.

კიდევ ერთი გადაწყვეტილებით საქართველოს წინააღმდეგ (კლაუსი და იური კილაძე საქართველოს წინააღმდეგ), რაც მიღებულია 2010 წლის 2 თებერვალს<sup>25</sup>, ევროპის სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, თუ რამდენად იქნა დარღვეული მოსარჩელების საკუთრების უფლება ეროვნული უფლებამოსილი ორგანოების მიერ. აღნიშნულმა ორგანოებმა უარი უთხრეს ძმებს, რომლებიც იყვნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზარალის კომპენსაციაზე, რაც უნდა განხორციელებულიყო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის სტატუსის შესახებ კანონის საფუძველზე. სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა თუ რამდენად კანონიერი მოლოდინი ჰქონდათ განმცხადებლებს, მიეღოთ ფულადი და არაფულადი კომპენსაცია შესაბამისი შიდა კანონის დებულებათა თანახმად, თუმცა მათ თვითნებურად უარი ეთქვათ ასეთ ანაზღაურებაზე. სასამართლომ განსაზღვრა:

<sup>24</sup> შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ, № 28537/02, 27 სექტემბერი, 2005 წ.

<sup>25</sup> კლაუსი და იური კილაძე საქართველოს წინააღმდეგ, № 7975/06, 2 თებერვალი, 2010 წ.

„უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „ქონების“ ცნება შესაძლოა მიუთითებდეს ან „არსებულ ქონებაზე“, ან აქტივებზე, რომლებიც უნდა მიიღოს პირმა, შესაბამისად, განმცხადებელს შესაძლოა გააჩნდეს სულ მცირე „კანონიერი მოლოდინი“, რომ ეფექტურად ისარგებლებს საკუთრების უფლებით...

... ზემოთ ხსენებული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდა სასამართლოებისადმი მიმართვის დროს განმცხადებლებს 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საკმარისად ჩამოყალიბებული მოთხოვნა ჰქონდათ იმისთვის, რომ მისი აღსრულება მომხდარიყო და მათ კანონიერად შეეძლოთ მოეთხოვათ ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოსგან. ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ მოთხოვნის ამ ნაწილში შესაძლებელია №1 ოქმის პირველი მუხლის გამოყენება...

ამგვარად, მან მოსარჩელეთა სარჩელის ნაწილი არ მიიღო, რადგანაც ისინი *ratione materiae* არ შეესაბამებოდნენ კონვენციის მუხლს, არ არსებობდა კანონიერი მოლოდინი, მიეღოთ საკუთრება, რომელსაც მოითხოვდნენ მოსარჩელები და, შესაბამისად, საკუთრების არავითარი უფლება არ იყო დადგენილი მოსარჩელებისათვის. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს ჰქონდა საკმარისად დადგენილი მოთხოვნა, მიეღო კომპენსაცია მორალური ზიანისათვის და ის ფაქტი, რომ მათ ვერ შეძლეს მიეღოთ ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს მხრიდან ხანგრძლივი უმოქმედობის გამო, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს განმცხადებლების უფლებასთან შესაბამისად – დაუბრკოლებლად ესარგებლათ საკუთარი ქონებით. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის ნაწილი 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის დებულებების თანახმად, კომპენსაციასთან დაკავშირებით, რაც ასაბუთებდა მოსარჩელების უფლებას, თითოეულს მიეღო კომპენსაცია 4000 ევროს ოდენობით მიყენებული ზარალისათვის.

სხვა საქმეში, *სალინაძე და 2 სხვა საქართველოს წინააღმდეგ*, რომელიც ეხებოდა განმცხადებლების საკუთრების უფლების დარღვევას მათ მიერ კუთვნილ სახლთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2010 წლის 27 მაისს<sup>26</sup>, სადავო სახლი მათ გადაეცათ როგორც ქვეყნის ფარგლებში (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირებს, ადმინისტრაციული გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნულ სახლში პირები ცხოვრობდნენ ათწელზე მეტი ხნის განმავლობაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი მოსარჩელე ექსკლუზიურად, უწყვეტად და ღიად ფლობდა სახლს და იყენებდა მას ათი წლის განმავლობაში, რაც დადასტურებულ იქნა უფლებამოსილი ორგანოების მიერ. აგრეთვე, მოსარჩელების უფლება, გამოეყენებინათ მოცემული სახლი და მისი ამ სახლიდან გამოსახლების აკრძალვა, რასაც ადგენდა შესაბამისი სამართლებრივი აქტი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების თაობაზე, უგულებელყოფილ იქნა შიდა უფლებამოსილი ორგანოების მიერ, სასამართლოების ჩათვლით. ევროპის სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა იძულებითი გამოსახლება კოტეჯიდან არ შეესაბამებოდა ქვეყნის შიდა კანონებით განსაზღვრული გამოსახლების პროცედურებს, რადგან ისინი გამოსახლებულ იქნენ არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, არამედ მხოლოდ შინაგან საქმეთა სა-

<sup>26</sup> *სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, № 18768/05, 27 მაისი, 2010 წ.

მინისტროს ზეპირი ბრძანების შედეგად, სპეციალური დანიშნულების პოლიციის ძალების იძულებითი ქმედებებით. ამას გარდა, ადგილობრივმა სასამართლოებმა არ აღიარეს ის ფაქტი, რომ განმცხადებლები უწყვეტად იყენებდნენ სახლს, ასევე უგულვებელყვეს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა აღნიშნულ საქმეებთან მიმართებაში. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ ქონების ჩამორთმევის ასეთი ტიპი წარმოადგენდა თვითნებურ პრაქტიკას და დაავალა საქართველოს სახელმწიფოს, აღედგინა მოსარჩელებსათვის სახლით სარგებლობის უფლება, ან მიეცა მათთვის სხვა სათანადო საცხოვრებელი, ან გადაეხადა გონივრული ფულადი კომპენსაცია. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ

„... 103. სასამართლო იმეორებს, რომ ცნებას „ქონება“ ... გააჩნია ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ შემოიფარგლება მატერიალური სიკეთეების ფლობით და დამოკიდებული არ არის ფორმალურ კლასიფიკაციაზე ადგილობრივ კანონმდებლობაში: დასადაგენია, საქმის გარემოებანი, განხილული მთლიანობაში, რამდენად შესაძლოა ანიჭებდნენ განმცხადებელს დებულებით დაცულ უფლებას მატერიალურ ინტერესზე ... შესაბამისად, ისევე, როგორც მატერიალური სიკეთეები, გარკვეული უფლებები და ინტერესები, რომლებიც ქმნიან აქტივებს, შესაძლოა ასევე მიჩნეულ იქნენ „ქონებად“ მოცემული დებულების მიზნებისათვის ... „ქონების“ ცნება არ არის შეზღუდული „არსებული ქონებით“, არამედ შესაძლოა აგრეთვე მოიცავდეს აქტივებს, მოთხოვნების ჩათვლით, რომელთა მიმართაც მოსარჩელეს შეუძლია ამტკიცოს, რომ მას, სულ მცირე, გააჩნია გონივრული „კანონიერი მოლოდინი“, ეფექტურად გამოიყენოს საკუთრების უფლება... „მოლოდინი“ არის „კანონიერი“, თუკი ის ემყარება საკანონმდებლო დებულებას ან სამართლებრივ აქტს, რომელიც გავლენას ახდენს საკუთრების ინტერესზე ...

... 108. ზემოთხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მოსაზრებების და მიმდინარე საქმის გარემოებათა სათანადოდ გათვალისწინებით, აგრეთვე, ყოველივეს მთლიანობაში შეფასებით, სასამართლო ასკვნის, რომ პირველ განმცხადებელს ჰქონდა უფლება, გამოეყენებინა სახლი, როგორც საკუთარი საცხოვრებელი ადგილი და რომ ამ უფლებას ჰქონდა რეალური ფულადი განზომილება. შესაბამისად, ის უნდა იქნეს განხილული როგორც „ქონება“ №1 ოქმის პირველი მუხლის მიხედვით...

... 160. შესაბამისად, განსახილველ საქმეში მიკვლეულ აღმოჩენათა სათანადოდ გათვალისწინებით და სხვა შესაძლო ზომების უარყოფის გარეშე, რომლებიც აღადგენდა პირველი განმცხადებლის შელახულ უფლებებს კონვენციის მე-8 მუხლისა და №1 ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღდგენის ყველაზე სათანადო ფორმა იქნება *restitutio in integrum* ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულთა შესახებ კანონის თანახმად, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ მოსარჩელეს უნდა აღუდგეს მფლობელობა სახლზე. სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება უსაფრთხო და ღირსეული პირობები მისი დაბრუნებისთვის აფხაზეთში, საქართველოში. ალტერნატიულად, თუკი დამტკიცდება, რომ სახლის დაბრუნება შეუძლებელია, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი მოსარჩელის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირისათვის სხვა სათანადო საცხოვრებელი ადგილის გამოყოფით ან მისთვის სახლით სარგებლობის უფლების ადეკვატური, გონივრული კომპენსაციის გადახდით. ამასთან, შესაბა-

მისი ოდენობა უნდა იქნეს შეთანხმებული მხარეების მიერ ექვს თვეში იმ დღიდან, როდესაც საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შევა ძალაში კონვენციის 44-ე მუხლის § 2-ის თანახმად. თუკი მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მითითებულ პერიოდში, სასამართლო იტოვებს უფლებას, დაუნიშნოს მათ დამატებითი პროცედურა კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით, სათანადო კომპენსაციის განსაზღვრის მიზნით (სასამართლო წარმოების წესები 75 §§ 1 და 4).

161. გარდა ამისა, სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს იმ გარემოებაში, რომ კონვენციისა და №1 ოქმის 1 მუხლის მიხედვით, პირველმა მოსარჩელემ განიცადა სტრესი და იმედგაცრუება მისი უფლებების დარღვევის გამო. შედეგად, მიყენებული არამატერიალური ზარალი არ ჩაითვლება სათანადოდ კომპენსირებულად დარღვევების უბრალო აღიარებით. სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული შეფასებით, სასამართლო ადგენს, რომ პირველი განმცხადებლის სასარგებლოდ გადახდილი უნდა იქნეს 15000 ევრო წინამდებარე გარემოებებისათვის“.

კიდევ ერთ საქმეში *ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ*<sup>27</sup>, სასამართლომ დაადგინა №1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის ფაქტი შემდეგი საფუძვლით:

„59. ... 2004 წლის 18 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმება, რაც არღვევდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს და ერეოდა განმცხადებლის უფლებაში, მშვიდობიანად ესარგებლა მაზნიაშვილის უძრავი ქონებით, წარმოადგენდა 422-ე მუხლის § 1-ის გათვალისწინებული საქმისწარმოების ხელახლა დაწყების პროცედურის არასათანადო გამოყენებას კონვენციის თანახმად და არ იყო გამართლებული არსებითი და მაიძულებელი ხასიათის გარემოებებით და მოსარჩელეს აკისრებდა გადაჭარბებულ და არაპროპორციულ ტვირთს ...“

სასამართლოს არსებული პრეცედენტული სამართალი აგრეთვე მოითხოვს, რომ სახელმწიფოები სასამართლო დაცვით უზრუნველყოფდნენ იმ პირებს, რომლებიც დავობენ საკუთრების უფლების დარღვევის შესახებ<sup>28</sup>. ამგვარად, საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც მიღებულია ევროპის სასამართლოს მიერ 2007 წლის 31 ივლისს<sup>29</sup> საქმეზე *საფეხბურთო კლუბი „მრეტები საქართველოს წინააღმდეგ“* სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა სასამართლოში მისი საკუთრების უფლების დაცვაზე, რაც დაკავშირებული იყო კერძო პირის მოვალეობასთან, გადაეხადა მოსარჩელისათვის კომპენსაცია ფეხბურთელის გადაყვანისათვის. სასამართლომ არ დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა, მაგრამ დაადგინა საკუთრების უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლების დარღვევა. კერძოდ, დადგინდა, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა უსამართლოდ უარყვეს განმცხადებლის უფლება, სასამართლოს გზით მოეხდინა თავისი მოთხოვნების დაცვა, რაც კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

<sup>27</sup> *ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ*, № 18156/05, 27 მაისი, 2010 წ.

<sup>28</sup> სიტუაცია შესაძლოა განსხვავდებოდეს მცირე აქციონერების საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით, თუკი ფაქტობრივი მსხვერპლი იყო იურიდიული პირი, რომლის სააქციო კაპიტალშიც ჰქონდათ მათ წილი. ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ მიმართავენ სასამართლოს საკუთრების უფლების დარღვევის მტკიცებით. წილი (იხ. სულთანაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (დეკ.), № 40091/04, 4 მაისი, 2010 წ.

<sup>29</sup> *FC Mretebi საქართველოს წინააღმდეგ*, № 38736/04, 31 ივლისი, 2007 წ.

## საკუთრების განსაზღვრის მიდგომები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრაქტიკაში მიღებული მიდგომების მსგავსად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება რამდენიმე საქმეზე, რომლებიც ეხებოდა საკუთრებიდან გამომდინარე სხვადასხვა ეკონომიკურ ინტერესებს. მაგ., საქმეში „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“ და სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური კომპანია „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ<sup>30</sup>, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ საკუთრების უფლება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია კონსტიტუციით და განუსხვისებელია. კერძოდ, მან ახსენა, რომ საკუთრების უფლებები შესაძლოა შეზღუდული იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა შესაძლოა გამართლდეს მხოლოდ იმით, რომ კანონიერი მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქონება და მესაკუთრე იყვნენ განცალკევებულნი. ამ საქმეში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შეზღუდვების დაწესება გულისხმობდა ინტერესების სამართლიან დაბალანსებას და არა ერთი ინტერესის მეორეთი ჩანაცვლებას.

კიდევ ერთ საქმეში, საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ<sup>31</sup>, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საკუთრების უფლება არ იყო აბსოლუტური და სახელმწიფოს შეეძლო დაედგინა მასზე გარკვეული შეზღუდვები. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციამ დაადგინა ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის ისე, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში, თუ საჯარო ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, მესაკუთრეებმა უნდა ითმინონ გარკვეული ჩარევა საკუთრებაში. კონსტიტუციამ წარმოადგინა მოცემული ბალანსი 21.2 და 21.3 მუხლებში, რომელთა მიხედვითაც, საკუთრებაში ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების შეზღუდვისა თუ ჩამორთმევის ფორმით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება და რომ დაუშვებელია უფრო მკაცრი შეზღუდვების დაწესება, გარდა იმისა, რაც „აუცილებელია საზოგადოებრივი საჭიროებისათვის“ და ჩარევის პრინციპის პროპორციულობის გათვალისწინების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო შემდგომ განსაზღვრავს, რომ მესაკუთრეებს ჰქონდათ საშუალება, აღედგინათ საკუთარი უფლებები სამოქალაქო სამართლის პროცედურების მეშვეობით, მაგრამ მათ უნდა შეძლებოდათ გაერკვიათ, იყო თუ არა გადაწყვეტილება მათი ქონების კონფისკაციის შესახებ საკმარისად დასაბუთებული და შეესაბამებოდა თუ არა

<sup>30</sup> შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“ და სს „გორგოტას“, გივი აბალაკის ინდივიდუალური კომპანია „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქმეებში საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ 2008 წლის 19 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება, საქმე № 1/2/411, გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკაში და კოდექსების მონაცემთა ბაზაში.

<sup>31</sup> საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2007 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე № 1/2/384, გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკაში და კოდექსების მონაცემთა ბაზაში.

საკანონმდებლო და კონსტიტუციურ მოთხოვნებს, მათ შორის საზოგადოებრივი საჭიროების მოთხოვნებს და უზრუნველყოფდა თუ არა საკუთრებაში ჩარევისთვის შესაბამის კომპენსაციებს.

საქმეში საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ<sup>32</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მოეთხოვებოდა, მიეღო გადაწყვეტილება, მეწარმეთა შესახებ კანონის ნორმასთან (მუხლი 53<sup>3</sup>) დაკავშირებით, რომელიც ანიჭებდა სააქციო საზოგადოების კაპიტალის უდიდესი ნაწილის მესაკუთრე – აქციათა 95%-ის მფლობელ აქციონერებს, მოეპოვებინათ ხმის უფლების მქონე აქციათა დარჩენილი 5% (სამართლიან ფასად მცირე აქციონერთა აქციების სავალდებულო გაყიდვა). სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა წარმოადგენდა თუ არა საკუთრების შეზღუდვას ან ჩამორთმევას ეს წესი კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიზნებისათვის და რამდენად აკმაყოფილებდა ის კონსტიტუციის კრიტერიუმებს საკუთრების შეზღუდვისა თუ ჩამორთმევისთვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ საკუთრების ექსპროპრიაცია შესაძლოა ხასიათდებოდეს სახელმწიფოს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით საკუთრების ჩამორთმევის პროცესში. ამასთან, სააქციო კაპიტალში მცირე აქციონერთა უფლებებში ჩარევა მეწარმეთა შესახებ კანონის მუხლი 53<sup>3</sup>-ის საფუძველზე არ შეადგენდა საკუთრების ჩამორთმევას. ასევე განისაზღვრა, რომ მოცემული გარემოება ქმნის საკუთრების გამოყენების „შეზღუდვას“ კონსტიტუციის 21.2-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ჩარევის გზით. საკონსტიტუციო სასამართლო, ამ შემთხვევაში, მივიდა დასკვნამდე, რომ ეს დებულება იყო არაკონსტიტუციური, რადგანაც არ იყო დაცული სამართლიანი ბალანსი კერძო პირების ინტერესებსა და საერთო საზოგადოებრივ ინტერესს შორის. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკამათო საკითხი ეხებოდა სააქციო კაპიტალში მცირე აქციონერების კუთვნილ აქციათა სამართლიანი ფასის განსაზღვრას. თუ სამართლიანი ფასი განსაზღვრული იქნებოდა სააქციო საზოგადოების წესდების და არა დამოუკიდებელი ექსპერტების ან საბროკერო კომპანიების მიერ, აქციათა უმცირესობის მფლობელ აქციონერებს წაერთმეოდათ შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ აქციათა ღირებულება სასამართლოში.

საქმეში „ავთანდილ ლომთაძე და მერაბ ხელაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“<sup>33</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ შეისწავლა საქმე, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა 1997 წელს განხორციელებული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით და რომლის შედეგადაც წარმოიქმნა მოსარჩელე კომპანია. ამგვარად, შპს „საქმილსადენმშენმა“ მოიპოვა საკუთრების უფლებები სახელმწიფო საწარმოზე და გახდა, მისი აზრით, შეძენილი საკუთრების კანონიერი მემკვიდრე და არა წარმომადგენელი. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მისი საკუთრების უფლებები, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, პირდაპირ იქნა შელახული. რადგან ახლად შექმნილ საწარმოს უხდე-

<sup>32</sup> საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2007 წ. 18 მაისი, საქმეები № 2/1/370, 382, 390, 402, 405, გამოქვეყნებულია საქართველოს რესპუბლიკაში და კოდექსების მონაცემთა ბაზაში.

<sup>33</sup> „ავთანდილ ლომთაძე და მერაბ ხელაძე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, 2003 წ. 5 მაისის გადაწყვეტილება, საქმე № 2/5/172-198, გამოქვეყნებულია ურნალში „ადამიანი და კონსტიტუცია“ და კოდექსების მონაცემთა ბაზაში.

ბოდა გადაეხადა კომპენსაცია თანამშრომლისთვის მიყენებული ზარალისთვის, რომელიც სახელმწიფო საწარმოში იყო ადრე დასაქმებული. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ საწარმოს პრივატიზაციის შემდეგ, სახელმწიფო საწარმოს თანამშრომლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პრივატიზაცია წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებაზე უფლებათა მოპოვებას ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ, პრივატიზაცია გულისხმობდა არა მხოლოდ საკუთრების უფლებების (აქტივების) მოპოვებას, არამედ მოვალეობათა (ვალდებულებათა) მიღებასაც. შესაბამისად, სასამართლომ არ დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტი, რადგან განმცხადებელმა მიიღო ვალდებულება, გადაეხადა კომპენსაცია მის მიერ პრივატიზებული საწარმოს ყოფილი თანამშრომლის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიერ გადაწყვეტილ კიდევ ერთ საქმეში, *მოქალაქეები ვანო სისაური, ტარიმან მალრაძე და ზურაბ მჭედლიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*<sup>34</sup> სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კონსტიტუციის მუხლი 21-ის თანახმად, საკუთრების კონფისკაცია განხორციელდა საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე, კანონის მიერ პირდაპირ განსაზღვრულ გარემოებებში, სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით ან გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, რაც განსაზღვრულია ორგანული კანონით და მხოლოდ სათანადო კომპენსაციის თანხლებით. ამგვარად, საჯარო გაერთიანების საკუთრების გასხვისება აღმასრულებელი ხელისუფლების აქტის თანახმად და შესაბამისი საფუძველების გარეშე საფრთხეში აგდებს საკუთრების უნივერსალურ უფლებას, რომელიც დაცულია კონსტიტუციით, რამდენადაც გაერთიანების წევრებს წაერთვათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ მათ მიერ წლების განმავლობაში შექმნილი მატერიალური საშუალებები. განსახილველი აქტი, რომელსაც ემყარებოდა საკუთრებაში ჩარევა, არ იყო რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროს მიერ ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში, რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ ნორმატიული აქტების კონსტიტუციონალური ბუნების გამოკვლევა შეუძლია. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტის შინაარსისა და მისი მოქმედების სფეროს გათვალისწინებით შესაძლებელი იყო განსახილველი აქტის კონსტიტუციონალურობის შეფასება. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პრემიერ-მინისტრი არ იყო სათანადოდ უფლებამოსილი, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა მაშინდელი უზენაესი ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი ინდივიდუალური, პირადი დეკრეტით და, შესაბამისად, განმცხადებლის საკუთრების უფლებებში ჩარევა არ ატარებდა კანონიერ ხასიათს.

<sup>34</sup> *მოქალაქეები ვანი სისაური, ტარიმან მალრაძე და ზურაბ მჭედლიშვილი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*, 1999 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე № 2/70-10, გამოქვეყნებულია ჟურნალში „ადამიანი და კონსტიტუცია“ და კოდექსების მონაცემთა ბაზაში.

## დასკვნები

ორივე, ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იცავს საკუთრების სხვადასხვა უფლებებს, რაც მოიცავს ეკონომიკურ ინტერესებს, გამომდინარე ქონების დაუბრკოლებლად გამოყენების უფლებიდან. კონვენციის მიერ დადგენილი ტესტები, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, კონვენცია იყენებს „სამართლიანი ბალანსის“ ცნებას გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების კრიტერიუმებს საკუთრების უფლებებში ჩარევის თვალსაზრისით. ამას გარდა, ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა აწესებს ერთმნიშვნელოვან კრიტერიუმებს, რომლებიც შეესაბამება კანონიერების მოთხოვნებს საკუთრებაში ჩარევასთან მიმართებაში და თვითნებური ჩარევის თავიდან აცილებისთვის. ამასთან, პროცედურული და მატერიალური სამართალი უნდა იყოს გათვალისწინებული. დამატებით, საკუთრების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ შემთხვევებში, სასამართლოები ითვალისწინებენ იმ გარემოებას, თუ რამდენად ახლდა კომპენსაცია საკუთრების ასეთ ჩამორთმევას იმათთვის, ვისი საკუთრებაც დაექვემდებარა კონფისკაციას. ამგვარად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მსგავსი მიდგომები მიღებულია ევროპის სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთრების უფლებებში ჩარევასთან დაკავშირებულ საქმეებში და საკუთრების უფლებების დაცვასთან მიმართებაში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კონვენციის №1 ოქმის 1-ლი მუხლი და საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი წარმოადგენენ განსხვავებულ კრიტერიუმებს იმის დასადგენად, თუ რამდენად იქნა დარღვეული საკუთრების უფლება სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ და რამდენად იყო ის ფაქტი თვითნებური.

ზოგადად, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკუთრების უფლების დაცვის საკითხს განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებიან, ანალიზებენ იმ გარემოებას, თუ რამდენად არის საკუთრების უფლებაში ჩარევა დაფუძნებული კანონზე და ასეთ შემთხვევაში, რამდენადაა დაცული განხორციელებული ჩარევისას სამართლიანი ბალანსი საკუთრების უფლებასა და საჯარო ინტერესს შორის. მიუხედავად განსხვავებული მიდგომებისა, ორივე სასამართლოს პრაქტიკა მსგავსია მიღებული შედეგების მიხედვით. ორივე სასამართლოს მოქმედება უზრუნველყოფს საკუთრების უფლებების მკაცრ დაცვას. მსგავსი პრაქტიკების თანაარსებობა მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ორივე სასამართლო მოქმედებს ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის ფარგლებში და ხელმძღვანელობს უნიკალური სამართლებრივი სტანდარტებით. საჭიროა ორივე სასამართლოს როლის ჯეროვანი დაფასება საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით ეროვნულ და ევროპულ დონეზე, ეს წარმოადგენს ერთიანობის კარგ მაგალითს ქონების დაუბრკოლებლად გამოყენების უფლების დაცვისას ევროპულ და ეროვნულ დონეებზე.